

და მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა:

შპს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
პარტნიორთა საერთო კრების მიერ,

25 ოქტომბერი, 1999 წ.

ცვლილებები და დამატებები შეტანილია:

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
აქციონერთა საერთო კრების მიერ,

19 მაისი, 2006 წ.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ,

29 დეკემბერი, 2008 წ.

**"საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის"**

**დისციპლინურ დარღვევათა
საკროცესო კოდექსი**

თავი I. კოდექსის მიზანი და დანიშნულება

მუხლი 1. მიზანი

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" (შემდგომში – "ცენტრალური დეპოზიტარი") დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსი აწესრიგებს ცენტრალური დეპოზიტარის წევრებთან, (შემდგომში - "წევრებთან") დაკავშირებულ დისციპლინურ დარღვევებს და მათი განხილვის პროცედურას.

მუხლი 2. განმარტებები

- 2.1. "ეთიკის კომისია" – ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს ეთიკის კომისია, რომელსაც ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოსაგან მინიჭებული აქვს უფლება განიხილოს დისციპლინური დარღვევები და ჩაატაროს ქმედებები ამ კოდექსისა და საბჭოს მიერ დამტკიცებული კომისიის დებულების შესაბამისად.
- 2.2. "მოსმენის კომიტეტის მსაჯულები" – ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეული 12 მსაჯული, რომელთაგან 2 ინიშნება მოსმენის კომიტეტის შემადგენლობაში
- 2.3. "მოსმენის კომიტეტი" – ცენტრალური დეპოზიტარის დროებითი კომიტეტი, რომელიც შედგება 3 წევრისაგან, რომელთაგან 2 აირჩევა მოსმენის კომიტეტის მსაჯულებიდან, ხოლო 1 აირჩევა ეთიკის კომისიის წევრებისგან და იკრიბება ცალკეული დისციპლინური დარღვევის განსახილველად. კომიტეტს არ გააჩნია მუდმივი შემადგენლობა და საკითხის მოგვარების შემდეგ იგი იშლება. კომიტეტი მოქმედებს ამ კოდექსის შესაბამისად.
- 2.4. "მარეგულირებელი ორგანო" – ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო.
- 2.5. "მოსარჩელე" – ამ კოდექსის მიზნებისთვის მოსარჩელედ ჩაითვლება ცენტრალური დეპოზიტარი, როდესაც იგი სარჩელს წარადგენს.
- 2.6. "მოპასუხე" – დისციპლინური დარღვევის ჩამდენი ცენტრალური დეპოზიტარის წევრი.

მუხლი 3. ინტერპრეტაცია

საპროცესო კოდექსის დებულებები არ უნდა განიმარტებოდეს იმდაგვარად, რომ ის ზღუდავდეს ცენტრალური დეპოზიტარის დებულებებს და წესებს.

მუხლი 4. პოტენციური დარღვევების განხილვა

- 4.1. ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან სხვა თვითრეგულირებად ორგანიზაციას ან მათ წარმომადგენელს უფლება აქვთ საჩივრით მიმართონ ცენტრალურ დეპოზიტარს მომხდარი დარღვევის შესახებ, რომლითაც ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, ან მარეგულირებელი ორგანოს, ან ცენტრალური დეპოზიტარის ან/და წევრის წესების დარღვევაში ამხილებენ წევრს ან წევრის თანამშრომელს. საჩივარში მოყვანილი

ფაქტების დადასტურების შემდეგ, უკვე თვითონ ცენტრალური დეპოზიტარი წარუდგენს დამნაშავეს სარჩელს დაზარალებული კლიენტის ან წევრის სახელით. საჩივარი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დეტალურად აღწერდეს ფაქტებს, რომლებიც ეხება დარღვევას. საჩივარი უნდა გაეგზავნოს ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორს.

4.2. გენერალურ დირექტორს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და აღძრული საქმის სფეროს გათვალისწინებით შეუძლია ბრალდება ჩათვალოს უსაფუძვლოდ ან დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს ეს საკითხი ცენტრალური დეპოზიტარის შიდა კონტროლის სამსახურს გამოსაკვლევად და სათანადო წინასწარი წერილობითი მოხსენების მოსამზადებლად. ეს წერილობითი მოხსენება მზადდება საჩივრის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. გენერალური დირექტორი განიხილავს რა ამ წინასწარ წერილობით მოხსენებას:

- (ა) ჩათვლის ბრალდებას უსაფუძვლოდ;
- (ბ) მოითხოვს მოკვლევის გაგრძელებას შიდა კონტროლის სამსახურის მიერ, ან
- (გ) გაუგზავნის ამ მოკვლევის შესახებ მოხსენებას ეთიკის კომისიას განსახილველად.

4.3. თუ გენერალური დირექტორი ჩათვლის ბრალდებას უსაფუძვლოდ და გადაწყვეტს საქმის დახურვას, მან დაუყოვნებლივ უნდა გააგზავნოს მოკვლევის ანგარიში თავის წერილობით მოსაზრებასთან ერთად ეთიკის კომისიაში განსახილველად.

4.4. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს “საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის” წევრთა შესახებ” დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული მისთვის მინიჭებული უფლებები ცენტრალური დეპოზიტარის, მისი წევრების, მათი კლიენტების, კრედიტორების ან ინვესტორების ინტერესების დაცვისა და შემდგომი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, თუ აშკარაა წევრის მიერ კანონის, მარეგულირებელი ორგანოს ან/და ცენტრალური დეპოზიტარის წესების მოთხოვნების დარღვევა. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესახებ გენერალური დირექტორი აცნობებს სამეთვალყურეო საბჭოს.

მუხლი 5. კონფიდენციალურობა

საჩივართან, სარჩელთან, მოკვლევასთან და დისციპლინურ ქმედებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ითვლება არასაჯარო ინფორმაციად. აქედან გამომდინარე ეთიკის კომისიამ, მოსმენის კომიტეტმა და სამეთვალყურეო საბჭომ არ უნდა გაავრცელონ ეს დოკუმენტი ან/და ის ინფორმაცია, რომელსაც ის შეიცავს და არ უნდა გადასცენ სხვა პირს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც მონაწილეობენ დისციპლინური განხილვის პროცესში. ყოველი ასეთი პროცესის დამთავრებისთანავე ყველა დოკუმენტი უნდა ჩაბარდეს შიდა კონტროლის სამსახურს.

მუხლი 6. მოკვლევის პროცესი

6.1. მოკვლევის ანგარიშის მიღების შემდეგ, ორი დღის ვადაში ეთიკის კომისია უნდა შეიკრიბოს, რათა განიხილოს მოცემული საკითხი და დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტოს:

- ა) ჩათვალოს ბრალდება უსაფუძვლოდ;
- ბ) მოითხოვოს მოკვლევის გაგრძელება შიდა კონტროლის სამსახურის მიერ;

- გ) ურჩიოს შიდა კონტროლის სამსახურს საჩივარში მითითებულ წევრთან ერთად შეადგინოს წერილი “წესების მცირე დარღვევების შესახებ”, როგორც ეს აღწერილია ამ კოდექსის მე-17 მუხლში,
- დ) წარადგინოს სარჩელი.

6.2. თუ კომისია ბრალდებას ჩათვლის უსაფუძვლოდ, ამის შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნოს მომჩივანს.

6.3. შიდა კონტროლის სამსახურის მიერ ჩატარებული მოკვლევის პროცესის დროს თვითოეული წევრი უნდა თანამშრომლობდეს ცენტრალურ დეპოზიტართან და სასწრაფოდ უნდა წარმოადგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი ამ სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად. ამ პირობის შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი უფლებამოსილების დროებითი შეჩერება.

მუხლი 7. ინტერესთა კონფლიქტი

ეთიკის კომისიის, მოსმენის კომიტეტის და სამეთვალყურეო საბჭოს არც ერთ წევრს არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს რაიმე დისციპლინური საკითხის განხილვაში, თუ:

- (ა) ის, წევრი, რომლის მესაკუთრეც ან თანამშრომელიც თვითონ არის, რომელიმე თანამშრომელი მისი წევრი კომპანიისა ან მისი რომელიმე ნათესავი, (როგორც ეს განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტში) ამ საქმეში გამოდის როგორც ერთ-ერთი მხარე;
- (ბ) თუ მას გააჩნია რაიმე პირადი ინტერესი ამ საქმისადმი;
- (გ) თუ მას გააჩნია რაიმე ფინანსური ინტერესი ან მოგება ამ საქმიდან; ან
- (დ) მისი მონაწილეობა ამ საკითხში განიხილება, როგორც ინტერესთა კონფლიქტი.

თავი II: დისციპლინური სარჩელი, მოსმენა და გადაწყვეტილება

მუხლი 8. კომისიის მიერ სარჩელის წარდგენა

8.1. თუ შიდა კონტროლის სამსახურის მიერ ჩატარებული მოკვლევის და განხილვის შედეგად ეთიკის კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წევრმა დაარღვია ცენტრალური დეპოზიტარის წესები ან საქართველოს კანონმდებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ, იგი წარადგენს სარჩელს ამავე თავის მე-9 მუხლის შესაბამისად.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ კომისია მივა დასკვნამდე, რომ დარღვევა ატარებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ხასიათს, ან სცილდება კომისიის კომპეტენციას, იგი დაუყოვნებლივ გაუგზავნის შეტყობინებას მარეგულირებელ ორგანოს, ხოლო თუ დარღვევა ისეთი სახის ზიანს უკავშირდება, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებას მოითხოვს – ურჩევს მომჩივანს მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 9. სარჩელის ფორმა, შინაარსი, შეტყობინება და მოხსნა

9.1. ყველა სარჩელი მზადდება წერილობით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი ფორმით. მასში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ბრალდებათა შინაარსი და ასევე ის წესები, კანონმდებლობა, თუ წესდების დებულებები, რომელიც დარღვეულად ითვლება.

მხარე, რომელიც სარჩელს წარადგენს (ცენტრალური დეპოზიტარი) მოსარჩელე მხარედ იწოდება, ხოლო მხარე, რომლის წინააღმდეგ აღძრულია სარჩელი - მოპასუხედ. თუ საჩივარში რამდენიმე დისციპლინური დარღვევა აღნიშნული, მაშინ თითოეული ცალკე სარჩელად უნდა ჩამოყალიბდეს. ყველა სარჩელს ხელს უნდა აწერდეს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

- 9.2. სარჩელის ასლი პირადად გადაეცემა მოპასუხის წარმომადგენელს ან დაზღვეული ფოსტით გაეგზავნება მოპასუხეს მის იურიდიულ მისამართზე.
- 9.3. ეთიკის კომისიის მიერ სარჩელის წარდგენის შემდეგ, ეთიკის კომისიას ნებისმიერ დროს შეუძლია მისი მოხსნა მოსმენის კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. სარჩელის მოხსნა ხელს არ შეუშლის ეთიკის კომისიას მომავალშიც წარადგინოს იგივე შინაარსის სარჩელი.

მუხლი 10. სარჩელზე გამონმარება

- 10.1. სარჩელზე გამონმარება მზადდება წერილობით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავებული ფორმით. იგი გადაეცემა ეთიკის კომისიას მოპასუხისადმი სარჩელის გაგზავნის თარიღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. ეთიკის კომისია უფლებამოსილია გააგრძელოს ეს პერიოდი, იმ შემთხვევაში, თუ ამისათვის იქნება შესაბამისი საფუძველი. მოპასუხე მოტივირებული განცხადებით მოითხოვს ამ ვადის გაზრდას. ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიას შეუძლია დამატებით მისცეს მოპასუხეს 5 (ხუთი) კალენდარული დღე.
- 10.2. თუ სარჩელში შეტანილი იქნა ცვლილება, მაშინ გამონმარების ან გამონმარების შეცვლილი სახით წარდგენის ვადა იქნება 10 (ათი) დღე, რომელიც გამოითვლება მოპასუხისათვის ცვლილების გაგზავნის თარიღიდან. თუ საპასუხო გამონმარება უკვე წარდგენილია, მოპასუხე შეცვლილ გამონმარებას მოპასუხისათვის ცვლილებების გაგზავნის თარიღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში წარადგენს.
- 10.3. თუ ეთიკის კომისიამ არ მიიღო მოპასუხისაგან პასუხი ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებით გათვალისწინებულ ვადაში, მაშინ იგი მოპასუხეს გაუგზავნის მეორე შეტყობინებას, რომლის თანახმად მოპასუხე ვალდებულია გამოეხმაროს ამ შეტყობინებას მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. მეორე შეტყობინებაში ნათქვამია, რომ თუ მოპასუხე არ წარადგენს გამონმარებას შეტყობინებაში მითითებული პერიოდის განმავლობაში, მაშინ ეთიკის კომისია სარჩელში წამოყენებულ ბრალდებებს მოპასუხის მიერ აღიარებულად მიიჩნევს.
- 10.4. თუ მოპასუხე არ გამოეხმარება მეორე შეტყობინებას დადგენილი პერიოდის განმავლობაში, მაშინ კომისია თავისი ინიციატივით დანიშნავს მოსმენას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამ მოსმენაზე მოსმენის კომიტეტი ბრალდებას მიიჩნევს აღიარებულად მოპასუხის მხრიდან.
- 10.5. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი ბევრ მოპასუხეს ეხება, თითოეული მოპასუხის მიერ წარდგენილი გამონმარების ასლები სხვა მოპასუხეებსაც დაეგზავნებათ.

მუხლი 11. მოთხოვნა მოსმენის დანიშვნაზე

- 11.1. გამონმარებაში მოპასუხემ შეიძლება მოითხოვოს წინასწარი მოსმენის ჩატარება ეთიკის კომისიის წინაშე. ამ შემთხვევაში საკომისიო მოსმენა ინიშნება გამონმარების მიღების

მომდევნო სამუშაო დღეს. ასეთი წინასწარი მოსმენის დამთავრების შემდეგ ან თუ მოსმენის ჩატარების შესახებ მოთხოვნა არ გაკეთებულა, ეთიკის კომისია გამოსცემს ბრძანებას სარჩელის საკომიტეტო მოსმენაზე გატანის შესახებ.

- 11.2. მოსმენამდე სულ მცირე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე მომჩივანსა და მოპასუხეს ფოსტით გაეგზავნებათ საკომიტეტო მოსმენის თარიღისა და ადგილის აღმნიშვნელი შეტყობინება, თუმცა საგანგებო გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს შეტყობინების ვადის შემცირება. საგანგებო გარემოებებში იგულისხმება პროცესის დაჩქარება, რომელიც გამოდინარეობს კლიენტის ინტერესებიდან მისი ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების დაცვის მიზნით.
- 11.3. მოსალოდნელი ჩვენებების ხანგრძლიობის, მტკიცებულებათა მოცულობის და სირთულის, ისევე როგორც ეთიკის კომისიის მიერ მიჩნეული სხვა არსებითი ფაქტორების გათვალისწინებით, ეთიკის კომისიამ შეიძლება გადაწყვიტოს სარჩელის გახანგრძლივებულ მოსმენაზე გატანა. შეტყობინება გახანგრძლივებული მოსმენის თაობაზე გაიცემა ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით.

მუხლი 12. მტკიცების ტვირთი

მტკიცების ტვირთი აკისრიათ ცენტრალურ დეპოზიტარს და მის თანამშრომლებს იმ პრინციპის მიხედვით, რომ "წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით უფრო დასაჯერებელია, რომ მოპასუხემ ჩაიდინა დისციპლინური დარღვევა, ვიდრე – მას ეს არ ჩაუდენია". თუ ცენტრალური დეპოზიტარი და მისი თანამშრომლები პასუხობენ ამ პრინციპს, მაშინ მოპასუხე უფლებამოსილია წარადგინოს ბრალდების საპირისპირო დოკუმენტი ან სხვა სახის მტკიცებულებანი, მისცეს ახსნა-განმარტებანი და შეასრულოს სხვა კანონიერი მოქმედებანი. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები იურიდიული და ფაქტიური ძალის არმქონედ ჩაითვლება

მუხლი 13. მოსმენის კომიტეტი

- 13.1. ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული მოსმენის კომიტეტის მსაჯულთა შემადგენლობიდან მოსმენის კომიტეტის მდივანი ნიშნავს ორ წევრს მოსმენის კომიტეტის შემადგენლობაში. მოსმენის კომიტეტის წევრების დანიშვნისას მდივანი უნდა ითვალისწინებდეს საქმის გარემოებებს, ინტერესების კონლიქტის გამორიცხვას და განსახილველი საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე წევრების გამოცდილებას. მოსმენის კომიტეტის მესამე წევრი უნდა იყოს ეთიკის კომისიის წევრი და დანიშნული უნდა იქნას ამ კომისიის თავმჯდომარის მიერ. თავმჯდომარე შესაძლოა თვითონ იყოს მოსმენის კომიტეტის წევრი. მოსმენის კომიტეტის წევრები ერთმანეთში ირჩევენ ამ კომიტეტის თავმჯდომარეს. მოსმენის კომიტეტის წევრები უნდა დაინიშნონ სამი დღის ვადაში.
- 13.2. გახანგრძლივებული მოსმენის შემთხვევაში, მდივანი ნიშნავს გახანგრძლივებული მოსმენის კომიტეტის ორ წევრს, იყენებს რა შერჩევის იგივე კრიტერიუმებს, როგორსაც იყენებს ზემოთაღნიშნულ პუნქტში. მესამე წევრს ირჩევს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ან შესაძლოა მესამე წევრი იყოს თავმჯდომარე. გახანგრძლივებული მოსმენის კომიტეტის წევრებს ამ კომიტეტში ჩატარებულ სამუშაოში ეკუთვნით სათანადო ფულადი კომპენსაცია.

მუხლი 14. მტკიცებულებები. მოსმენის კომიტეტის პროცედურა

14.1. მოსმენამდე, სულ მცირე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე, რომელი თარიღიც მითითებული იქნება ამ კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოპასუხისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში, კომიტეტის თავჯდომარე მოპასუხეს და მის ადვოკატს წარუდგენს ნებისმიერ მტკიცებულებას და მოწმეთა სახელებს, რომლებსაც მოსარჩელე წარუდგენს, ხოლო მოპასუხე უფლებამოსილია წარუდგინოს კომიტეტის თავჯდომარეს ნებისმიერი მტკიცებულება და მოწმეთა სახელები, რომლებიც მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას უარყოფენ.

14.2. როდესაც მოსმენა ჩატარდება:

- ა) მოპასუხე უფლებამოსილია დაესწროს მოსმენას ადვოკატის თანდასწრებით;
- ბ) მომჩივანი ვალდებულია, ხოლო მოპასუხე უფლებამოსილია, რომ მოსმენაზე მისცეს ახსნა—განმარტებები მოცემულ დისციპლინური დარღვევის საქმესთან დაკავშირებით და წარადგინოს ყველა დამატებითი მტკიცებულება, რომელთა არსებობა მოსმენის პროცესში აღმოჩნდა და თუ კომიტეტი გადაწყვეტს, რომ ისინი მოსმენისთვის შესაფერისი და აუცილებელია;
- გ) მომჩივანს შეუძლია გააკეთოს მოპასუხის მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვა და, პირიქით, მოპასუხეს—მომჩივანისა;
- დ) მოსმენის მასალები ინახება მოსმენის კომიტეტის მდივნის მიერ.

ნაწილი 15. მოსმენის კომიტეტის გადაწყვეტილება

15.1. მოსმენის დასასრულს, მოსმენის კომიტეტმა უნდა გადაწყვიტოს ხმების უმრავლესობით, დაარღვია თუ არა მოპასუხემ რაიმე წესები, როგორც ეს სარჩელში იყო მოცემული. თუ კომიტეტი გადაწყვეტს, რომ დარღვევას ჰქონდა ადგილი, ის გამოსცემს წერილობით გადაწყვეტილებას, რომელშიც მოცემულია:

- ა) ქმედება, რომლის მონაწილეც იყო მოპასუხე;
- ბ) კანონმდებლობის, წესდების ან წესის დებულება, რომლის მიხედვითაც ამგვარი ქმედება წარმოადგენს დარღვევას;
- გ) ის მტკიცებულებები, რომლის საფუძველზე გაკეთდა დასკვნები;
- დ) სანქციები, ის მიზეზები, რაც დაელო საფუძველად ამ სანქციების დაკისრებას, აგრეთვე მათი აღსრულების ვადები;

15.2. მოსმენის კომიტეტის წერილობითი გადაწყვეტილება ხელმოწერილი უნდა იყოს კომიტეტის სამივე წევრის მიერ და პირადად უნდა გადაეცეს მოპასუხის წარმომადგენელს ან ფოსტით გაიგზავნოს.

15.3. გადაწყვეტილების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში გადაწყვეტილებაში აღნიშნული სანქციები სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი დეპოზიტარის გენერალური დირექტორის ბრძანებით, გარდა იმ სანქციებისა, რომლებიც დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შედის და რომელთა დაკისრებაც უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს უახლოეს სხდომაზე სათანადო გადაწყვეტილებით.

15.4. თუ მოსმენის კომიტეტი გადაწყვეტს, რომ სარჩელში მოცემული ფაქტები არ წარმოადგენს დარღვევას, მაშინ ის წერილობით მოხსნის ბრალდებას. მოსმენის კომიტეტის გადაწყვეტილების ასლი ბრალდების მოხსნის შესახებ დაუყოვნებლივ გაეგზავნება მოპასუხეს.

ნაწილი 16. გასაჩივრების უფლება

- 16.1. მოპასუხეს ან მომჩივანს შეუძლია მოსმენის კომიტეტის გადაწყვეტილება გაასაჩივროს ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოში, მოსმენის კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 16.2. სამეთვალყურეო საბჭომ მოპასუხის გასაჩივრების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უნდა გადახედოს მოსმენის კომიტეტის გადაწყვეტილებას და ასევე მათ ჩანაწერებს, მტკიცებულებებს და საბუთებს.
- 16.3. სამეთვალყურეო საბჭო ხმათა უმრავლესობით:
- ა) აუქმებს მოსმენის კომიტეტის გადაწყვეტილებას მთლიანად ან ნაწილობრივ;
 - ბ) ამსუბუქებს გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებულ სანქციებს;
 - გ) ამტკიცებს მოსმენის კომიტეტის გადაწყვეტილებას მთლიანად ან ნაწილობრივ;
 - დ) განსაკუთრებულ შემთხვევაში ურჩევს, რომ საქმე ხელშეორედ განიხილოს ახალმა მოსმენის კომიტეტმა, რომლის არჩევაც მოხდება მე-13.1. მუხლის თანახმად.
- 16.4. სამეთვალყურეო საბჭო მოპასუხეს უგზავნის წერილობით გადაწყვეტილებას დასკვნის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში და ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორს აძლევს სათანადო მითითებებს.

მუხლი 17. წესების მცირე დარღვევის პროცედურა

- 17.1. ამ კოდექსის II თავის, მე-8 და მე-9 მუხლების მიუხედავად, ეთიკის კომისიას შეუძლია, ქვემოთ ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე დააყენოს საკითხი, რომ დამნაშავეს დაეკისროს ჯარიმა (არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით) ან/და გაკიცხოს ნებისმიერი წევრი, ცენტრალური დეპოზიტარის ნებისმიერი წესის დარღვევისათვის.
- 17.2. თუ ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევას, მან შეიძლება შესთავაზოს დამრღვევ წევრს, შეიტანოს წესის მცირე დარღვევის წერილი (შემდგომში “წერილი”), სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული დარღვევის ხასიათი, დარღვეული წესის, ცენტრალური დეპოზიტარის წესდების ან შინაგანაწესის დებულება, ხელშეკრულების პირობა. წერილში მითითებული უნდა იყოს მოპასუხის თანხმობა, რომ მას დაეკისროს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე სანქცია.
- 17.3. წერილი წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს განსახილველად. თუ სამეთვალყურეო საბჭო უარყოფს წერილს, მაშინ მას შეუძლია მიიღოს შესაბამისი დისციპლინური ზომები დარღვევებთან დაკავშირებით. თუ სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს წერილს, მაშინ ის შეტანილი უნდა იქნეს ცენტრალური დეპოზიტარის სარჩელთა რეესტრში ამ კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად.
- 17.4. ეთიკის კომისიის მიერ წევრის წინააღმდეგ ამ კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად სარჩელის წარდგენის აუცილებლობის შემთხვევაში, წევრის ან მისი თანამშრომლის მიერ წესის მცირე დარღვევაზე წერილის წარდგენა არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს საქმის შემდგომ განხილვაზე.

მუხლი 18. სარჩელის მოგვარების პროცედურა

- 18.1. მოპასუხეს, მოსმენის კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, შეუძლია ნებისმიერ დროს, წარუდგინოს ეთიკის კომისიას სარჩელის მოგვარების წერილობითი წინადადება.
- 18.2. სარჩელის მოგვარების წინადადებები კეთდება ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, ისე, რომ გამორიცხოს დაუფიქრებლობა და არ იქნეს შეთავაზებული ჩადენილ დარღვევებთან შეუსაბამო სანქციები.
- 18.3. სარჩელის მოგვარების წინადადება კეთდება წერილობით და დეტალურად უნდა აღწერდეს შემდეგს:
- ა) ქმედება, რომელიც მოპასუხემ სავარაუდოდ განახორციელა ან მას უნდა განეხორციელებინა ;
 - ბ) ცენტრალური დეპოზიტარის წესდებისა ან შინაგანაწესის დებულებას, ხელშეკრულების პირობას ან წესს, რომელიც სავარაუდოდ დაირღვა ასეთი მოქმედებით ;
 - გ) განცხადებას იმის შესახებ, რომ მოპასუხე ეთანხმება მოკვლევულ ფაქტებს და მისდამი წარდგენილ წინადადებაში აღნიშნულ დარღვევებს;
 - დ) მოპასუხისათვის დასაკისრებულ სანქციას;
 - ე) მოპასუხის მიერ უარის თქმას ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოში გასაჩივრებისა და სასამართლოში სარჩელის შეტანის ყველა უფლებაზე (თუ მოცემული პოტენციური დარღვევის განხილვის უფლებამოსილება არ სცილდება ცენტრალური დეპოზიტარის კომპეტენციას), ან ეთიკის კომისიის მიერ გამოცემული ბრძანების ეჭვის ქვეშ დაყენებაზე, თუ სარჩელის მოგვარების შესახებ წინადადება მიღებული იქნება ამ კომისიის მიერ. .
- 18.4. თუ ეთიკის კომისია მიიღებს წინადადებას სარჩელის მოგვარების შესახებ, მან უნდა გამოსცეს სარჩელის მოგვარების ბრძანება. ამ ბრძანებაში აღინიშნება დარღვეული წესის, კანონმდებლობის ან წესდების დებულება და დაწესდება სანქციები სარჩელის მოგვარების შესახებ წინადადების პირობების შესაბამისად.
- 18.5 ეთიკის კომისიის ბრძანება სარჩელის მოგვარების შესახებ ტოლფასია ამავე კომისიის გადაწყვეტილებისა და საქმე იხურება ბრძანების გამოცემისთანავე. სანქციების სისრულეში მოყვანა ხდება ამ კოდექსის 15.3. პუნქტის შესაბამისად.
- 18.6 თუ ეთიკის კომისია უარყოფს სარჩელის მოგვარების წინადადებას, ის ჩაითვლება გაუქმებულად.
- 18.7 თუ პროცესში ერთზე მეტი მოპასუხეა და აღნიშნული ერთი ან რამდენიმე მოპასუხე წარმოადგენს წინადადებას სარჩელის მოგვარების შესახებ, ეს წინადადება შეიძლება მიღებული ან უარყოფილი იქნას ყველა ან ზოგიერთი მოპასუხის მიერ. ამის შემდეგ პროცესი შეწყდება იმ მოპასუხისთვის, რომლის წინადადება იქნა მიღებული, მაგრამ მისი მონაწილეობა შეიძლება მოთხოვნილი იქნას ნებისმიერ მოსმენაზე. შემდეგ ეთიკის კომისია მიმართავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ დისციპლინარულ პროცედურებს იმ მოპასუხის მიმართ, რომელმაც არ წარმოადგინა წინადადება სარჩელის მოგვარების შესახებ.
- 18.8 თუ სარჩელის მოგვარების წინადადება არ იქნა მიღებული და თუ აუცილებელია, რომ ეთიკის კომისიამ მიმართოს დისციპლინარულ პროცედურებს ამ მოპასუხის წინააღმდეგ.

ამ შემთხვევაში სარჩელის მოგვარების წინადადება არ იქნება გამოყენებული მოპასუხის საწინააღმდეგოდ და არ იქნება გათვალისწინებული საკითხის შემდგომი განხილვისას.

მუხლი 19. სარჩელთა რეესტრი

ეთიკის კომისიამ დროულად უნდა აცნობოს შიდა კონტროლის სამსახურს ყველა არსებული სარჩელის შესახებ, რომლებიც ამ სამსახურის მიერ უნდა აღირიცხოს სარჩელთა რეესტრში. ეთიკის კომისია დროულად აცნობებს ამ სამსახურს თითოეულ შემოსულ სარჩელში რაიმე ცვლილების შესახებ, მოპასუხის პასუხების, მოპასუხის მიერ მოსმენის უარყოფის, წესების მცირე დარღვევის წერილს, სარჩელის მოგვარების წინადადების და მოსმენის კომიტეტის გადაწყვეტილებების ჩათვლით. ყველა ასეთი ჩანაწერი შეტანილი უნდა იქნეს ცენტრალური დეპოზიტარის სარჩელთა რეესტრში.

მუხლი 20. სანქციები

დისციპლინარულ დარღვევებთან დაკავშირებით მოსმენის კომიტეტს, – ამ კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად ან ეთიკის კომისიას, – ამ კოდექსის მე-17 და მე-18 მუხლების შესაბამისად, შეუძლია ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთი ან რამდენიმე სანქციის კომბინაციის დაწესება, რომელსაც მიიჩნევს საჭიროდ:

- ა) გაკიცხვა (საყვედური);
- ბ) ფულადი ჯარიმა;
- გ) ცენტრალური დეპოზიტარის წევრის ან თანამშრომლისთვის ყველა ან რაიმე უფლებების შეჩერება;
- დ) საქმიანობის შეზღუდვა;
- ე) ხელახალი სერტიფიკაცია;
- ვ) კომპენსაცია ერთ ან რამდენიმე მხარისთვის;
- ზ) ცენტრალური დეპოზიტარის წევრობიდან გარიცხვა.

მუხლი 21. მოსმენის კომიტეტის ხარჯები

ნებისმიერ დისციპლინარულ პროცესში წევრს ან თანამშრომელს შესაძლოა მოეთხოვოს მოსმენის ხარჯების დაფარვა, როგორც ამას მოსმენის კომიტეტი ჩათვლის სამართლიანად და საჭიროდ.